თბილისი, გ. ტაბიძის ქ. 7,
ტელ/ფაქსი: (99532) 915254
Email:
<artstudio_project@yahoo.com>

G. Tabidze st 7, Tbilisi, Georgia
Tel/Fax: (99532) 915254
Email:
<artstudio_project@yahoo.com>

კონსტრუქციული დასკვნა ქ. თბილისში, საქანელას და მ. ჯავახიშვილის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ნანგრევებისა და ფერდის მოსწორება- კეთილმოწყობის პროექტის შესახებ.

კონსტრუქციული დასკვნა მიზნად ისახავს წინასწარ განისაზღვროს ის უბნები რომლებიც საშიშია, ფერდის მოსწორება-კეთილმოწყობის, ასევე მ. ჯავახიშვილის და საქანელას ქუჩების შემდგომ უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის.

ჩატარდა აღნიშნული ტერიტორიის და მასზე არსებული მზიდი კონსტრუქციების ვიზუალურ-ტექნიკური დაკვირვება, შეფასდა მათი ცვეთის კოეფიცენტი. ტერიტორია ხასიათდება დიდი დახრილობის რელიეფით – მ. ჯავახიშვილის ქუჩიდან მტკვრის სანაპირომდე დონეებს შორის სხვაობა 22-25 მ-ია. მოწყობილია ხელოვნური ტერესები, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილნი არიან საყრდენი კედლებით და მათ შორის კავშირი ხორციელდება საქანელას ქუჩის პანდუსითა და კიბეებით.

კონსტრუქციული გადაწყვეტა არ ითვალისწინებს ტერიტორიაზე არსებული შენობების გამაგრება-გაძლიერების ღონისძიებებს.

საშიში უბნების განსაზღვრის დროს ყურადღება გამახვილდა შემდეგ ადგილებზე: ტერიტორიაზე არსებული 8-9 მ. სიმაღლის და 25-30 მ. სიგრძის კედელზე (იხ. ფოტო №1). საცხოვრებელ სახლზე, ჯავახიშვილის ქ. №11-ში (იხ. ფოტო №2, №3). და ფეხით მოსიარულეთა ხიდის ტექნიკურ მდგომარეობაზე (იხ. ფოტო №4).



ფოტო №1 შიდა ტერიტორიაზე არსებული კედელი



ფოტო №2 საცხოვრებელი სახლი, ჯავახიშვილის ქ. №11



ფოტო №3 საცხოვრებელი სახლი, ჯავახიშვილის ქ. №11

არსებული კედელის (იხ. ფოტო №1) კეთილმოსაწყობად მოხდეს კედლის ზედაპირის მოსწორება 402.30 ნიშნულზე. კედლის თავზე მოეწყოს რკინაბეტონის სარტყელი რომელიც არსებულ კედელში ჩაანკერდება არმატურის ანკერების საშუალებით. სარტყელში ასევე გათვალისწინებულია მოაჯირის მოწყობა. (იხ. ფოტო №5)

საცხოვრებელი სახლი მ. ჯავახიშვილის ქ. №11-ში არის მძიმე ავარიულ მდგომარეობაში. კერძოდ: გრძივი და განივი კედლებს შორის გაჩენილია ნაპრალები, მზიდი კედლები გამოსულია ვერტიკალური საბრტყიდან, შენობის შუა ნაწილი ჩაშლილია და შენობა გაყოფილია 2 დამოუკიდებელ ნაწილად. ფერდის მოსწორება-კეთილმოწყობის სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელია, ამ ნაგებობის დემონტაჟი კეთილმოწყობის სამუშაოების უსაფრთხოდ წარმოების მიზნით.

საფეხმავლო ხიდი აუცილებელია გაიწმინდოს სამშენებლო ნაგვისაგან, და მისი შემდგომი უსაფრთხო ექსპლოატაციის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს მისი ცალკეული ელემენტების აღდგენა გაძლიერება.



ფოტო №4 საფეხმავლო ხიდი



ფოტო №5

გამოყენებული ლიტერატურა:

- *მშენებლობის პროცესში საჭიროა დაცული იყოს სამშენებლო ნორმების:* ***СНиП*** *-III-4-80* -ის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2007 წლის 28 მარტის №62 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის უსაფრთხოების წესები.*
- *СНиП 2.02.03-85 - Свайные фундаменты*
- *СНиП II-22-81 - Каменные и армокаменные конструкции*
- *СНиП 2.03.01-84* - Бетонные и железобетонные конструкции*
- *СНиП II-7-81* - Строительство в сейсмических районах*
- *СНиП 2.01.07-85* - Нагрузки и воздействия*
- *СНиП 2.02.01-83* - Основания зданий и сооружений*
- *СНиП II-23-81* - Стальные конструкции*
- *СНиП 1.02.07-87 - Инженерные изыскания для строительства*

მთ. კონსტრუქტორი *ს. პაპაშვილი*

კონსტრუქტორი *ი. მეხრიშვილი*